7915/3-81/22 2 30082022

7915/3-81/22
30-08-2022

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ
ბ/ნ ვახტანგ გომელაურს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით, რომელზეც, რეგლამენტის მიხედვით, დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.

1. აქვს თუ არა თქვენს უწყებას, ან, თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რომელიმე სახელმწიფო უწყებას შესწავლილი - რა ფინანსურ რესურსთან არის დაკავშირებული საქართველოში სახანძრო-სამაშველო დანიშნულების საავიაციო პარკის შექმნა ხანძრებზე დროული, მყისიერი და ეფექტური რეაგირებისთვის. ასეთი ფინანსური ან სხვა ტიპის გათვლების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მომაწოდოთ სრული ინფორმაცია.

2. გაქვთ თუ არა შესწავლილი თქვენ, ან თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რომელიმე სახელმწიფო უწყებას, სხვა ქვეყნების გამოცდილება, ან არსებობს თუ არა რაიმე გეგმა-მონახაზი, მთავრობის არსებულ სტრუქტურაში სად არის მიზანშეწონილი

სახანძრო-სამაშველო ავიაციის არსებობა (რომელიმე სამინისტროს დაქვემდებარებაში, ცალკე უწყებად, და ა.შ.)

3. რა ტიპის რესურსებში განიცდით დანაკლისს, რის გამოც სახელმწიფოს ხანძრის სწრაფად ლოკალიზებსთან დაკავშირებით აქვს სირთულეები?

4. ბოლო 5 წლის განმავლობაში, რომელი სახელმწიფოებისგან მივიღეთ დახმარება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაჩენილ ხანძართან გასამკლავებლად? გთხოვთ, დეტალურად მომაწოდოთ ინფორმაცია - აღნიშნული დახმარების მისაღებად რა თანხები იქნა გაღებული საქართველოს მიერ.
5. არსებობს თუ არა სახელმწიფოში დადგენილი რაიმე სტანდარტი (პროტოკოლი), რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უწყებები ემზადებით ხანძრების სეზონისათვის?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი